საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/68

09 ნოემბერი, 2012 წ. **ქ. ბათუმი**

2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის” , ბსუ–ს რექტორის 2012 წლის 7 სექტემბრის **№01/–8/47** ბრძანებისა და სტუდენტთა 2012 წლის 8 ნოემბრის №ს–3117 განცხადების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის **ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა** (პროფესიული, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთათვის სწავლის სემესტრული საფასურის მე–2 ნახევარის, ხოლო დოქტორნატურის სტუდენტთათვის სწავლის სემესტრული საფასურის პირველი ნახევარის გადახდის ვადა) 2012 წლის 5 ნოემბრიდან **გახანგრძლივდეს 2012 წლის 28 ნოემრამდე;**

2. სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის **შეჩერების აქტი გამოიცეს 2012 წლის 5 დეკემბერს.**

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ფაკულტეტებისა და კანცელარიის საინფორმაციო დაფებზე, ასევე განთავსდეს ბსუ–ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**